№ 97 მაისი 9, ხუთშაბათი 1891 მაისი 9, ხუთშაბათი № 97

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891 1877—1891


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს 11 მაისს

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

ქვრივი კოლეჟსკი ასესორის ანნა გიორგის ასული ასათიანისა, ლუკა მიხეილის ძე ანანიევი და ლიუბა პავლეს ასული ანანიევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი ასულისა თვისისა, მეორე—ცოლის დისა და მესამე—დისა თვისისა ვერა პავლეს ასულის ასათიანისას და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდამ, მთაწმინდის მოედანზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შაბათს, 11 მაისს, დილის $8^1/_2$ საათზედ. (2—1)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთს სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კვირას 12 მაისს

## მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართული იქმნება

სახალხო სეირნობა

## ლოტარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 79 §-სა, წლიური მორიგი საზოგადო კრება ზ. ზ. ხსენებულის ბანკის წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში ოცდაერთს ამა მაისისათვის, დილით თერთმეტს საათზედ.

საზოგადო კრების გასახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშის გასულის 1890 წლისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის წლისამებრ.

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიცა წმინდა მოგებიდან გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დ) შეცვლა და დამტკიცება ზოგიერთთ ბანკის წესდების §§.

ე) მოხსენება ბანკის საქმეთა მართვაზე.

ვ) ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა 3 ივლისის გასულის 1890 წლისა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის კოლლისტრატე ნიკოლოზის ძ ს ჩიკვაიძის პასუხის გებაზე სამსახურისამებრ დამნაშაობის გამო, რომელიცა დაჰრჩა დაუხილველად ბანკის წევრთა მოულოდნელის კრების მიერ 30 ოქტომბერს იმავე 1890 წლისა

ზ) ამორჩევა რიგით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრის მოადგილისა და ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა.

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 6 მაისს, გუბერნატორისა, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელთა, ქალაქის თავისა, იარმუკის კომიტეტისა და მრავალის ხალხის თანადასწრებით ქალაქს გარეშე გამართეს ნიკოლოზის იარმუკა. ვაჭრები წელს უფრო მეტნი მისულან ამ იარმუკაზედ, ვიდრე შარშან.

*** სახელმწიფო რკინის გზების დროებითს მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ ყოველ სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელთ და მოსწავლეთ ნება ჰქონდეთ, რკინის გზებზედ მოგზაურობისათვის მხოლოდ $^1/_8$ გადაიხადონ საზოგადო ფასისა, თუ ეს მასწავლებელნი და მოსწავლენი სამაგალითო მეურნეობის შესასწავლად მიდიან სხვა ადგილებშიო.

*** სოფ. ცხრუკვეთი. (შორაპნის მაზრა). ქურდობასა და ავაზაკობას არამც თუ ბოლო არ ელება ჩვენში, არამედ თანდათან უფრო ძლიერდება. ნამეტარ გახშირებულია ცხენის ქურდობა, რასაც ხელს უწყობს შემდეგი გარემოება: კაი ხანია, რაც ქურდებმა ერთი ხერხი შემოიღეს: მოჰპარავენ ცხენს და მერე ისევ შენ მოგყიდიან. დამლევ აპრილს, მაგალითად ერთს აქაურს გლეხს მოჰპარეს ორი ცხენი. გლეხი ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მაგრამ ცხენები ვერ იპოვა. მესამე დღეს გამოჩნდა მთხრობელი და უთხრა შენი ცხენები უნახავს ამა და ამ სოფლის კაცს და უთქვამს, თუ ხუთ თუმანს მომცემს საპოვნელს, ხომ კარგი, თუ არა და ისე არ დავანებებო. გახარებულმა გლეხმა ისესხა ფული და ამ სახით დაიხსნა თავისი ცხენები. ამისთანა შემთხვევა და ამბავი ერთი და ორი არ არის, არამედ თან და თან უფრო და უფრო ხშირდება. საჭიროა, სასტიკი ყურადღება მიექცეს ასეთს მთხრობელებს.

*** ქუთაისიდამ გაზ. „კავკაზ“-სა სწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქაურ სატუსაღოდგან ღლისით გაიქცა ტუსაღი ნესტორ კახიძეო. ამ ამბავს მთელი პოლიცია—ქალაქისა და მაზრისა ფეხზე დაუყენებია. კახიძე ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** გაზ. „მშაკ“-ი სწერს, რომ სომეხთა კათალიკოსის არჩევანი მომავალ წლის აპრილის თთვეში იქნებაო.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ახალგაზდა ფრანგი, ენების მცოდნე ბ-ნი მაიე, რომელსაც მშვენიერად სცოდნია ძველი სომხური ენა და ეხლა ახალს სომხურს ენას სწავლობს თურმე. („ნოვ. ობოზრ.“).

*** 6 მაისს, დილის 11 საათზე, ალექსანდრეს ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელმა გიორგი დიმიტრის ძემ ხუდადოვმა სადგური გაუტეხა ელისაბედ გერასიმეს ასულს გრიქუროვისას და გამოიტანა წაიღო 50 მანეთის ვერცხლეულობა და სხვა ნივთეული. მაგრამ მალე მიასწრო პატრონმა, უყვირილი მორთო და გზად მიმავალმა პოლიციელმა ქურდი შეიპყრო. ქურდს ჯიბეში უპოვნეს, რაც რამ მოეპარა და პატრონს გადასცეს.

*** ამავე დღეს შეიპყრეს ჯარის კაცის შვილნი: ვასილ კალინინი 15 წლისა და ივანე ადამეცკი 13 წლისა, რომელთაც სინოდის კანტორის პროკურორის სადგურიდგან მოპარული საზამთრო პალტო მიჰქონდათ. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, სამი ქურდობაც კიდევ სხვა ჩაუდენიათ.

*** 7 მაისს ბორანიდგან მტკვარში გადავარდა მანგლისის მცხოვრებელი პავლე შაბუნინი. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

## ღმერთო შეგვიწყალე

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბანძა, (სენაკის მაზრა). ბანძის მცხოვრებლებს უფრო მინდვრები უჭირავთ, ვიდრე ტყეები; ადგილი ქვიანყორიანია და ამის გამო მწირი და უნაყოფოც. გლეხები სიმინდის ხვნათესვას მისდევენ, მაგრამ მოსავალი-კი წლის საკმარი არ მოსდით. ამიტომ იძულებულნი არიან სხვაფრივაც რამ იღონონ ხოლმე: მიდიან, სხვა საზოგადოების მემამულეთაგან იღებენ მამულებს, მუშაობენ და ამ გვარად აგროვებენ წლის საზრდოს. ბანძაში ძლიერ შეძლებული გლეხი უნდა იყოს, რომ ზაფხულში პური არ დააკლდეს და აქეთ-იქით არ იბინოს სასყიდლად. მევენახეობა სრულიად არ იციან ამ საზოგადოების მცხოვრებმა, არც ვენახები აქვთ და მაშასადამე ღვინოსაც მოკლებულნი არიან. რაკი ასეთს გაჭირვებაშია ხალხი, ქალებიც გულხელ დაკრეფილნი არა სხედან. ისინიც, რაც-კი ხელიდგან გამოუვათ, ყველაფერს აკეთებენ, ჯაფა-გარჯას არ ერიდებიან. პირველი საქმე ქალებისა აბრეშუმის კეთებაა. შარშან აბრეშუმის მკეთებლებმა ბლომად გააკეთეს აბრეშუმი, სარგებლობა კარგი ჰნახეს და ამიტომ წლეულს უფრო გულმოდგინედ მოეკიდნენ ამ საქმეს. ჯერჯერობით აქ გამოცდილი და ნასწავლი არავინ არის ამ საქმის მცოდნე, თორემ აბრეშუმის კეთება უფრო გაძლიერდებოდა ჩვენში.

წასულს წლებში აქეთკენ ქურდბაცაცობა და მრავალ გვარი ავაზაკობა ხშირი იყო, მაგრამ პოლიციამ რიგიანად ადევნა თვალ-ყური, სასტიკად სდევნა ღამის რაინდები და ეხლა ცოტა არ იყოს, უფრო მოსვენებითა ვართ. ეს ესე, მაგრამ ერთ გვარი სენი გვაწუხებს, ქურდ-ბაცაცობაზე არა ნაკლები, რომელიც შესუსტების მაგიერ თან-და-თან უფრო ხშირდება და ვრცელდება. მე მოგახსენებთ მკითხავებსა და ცრუ ექიმებზედ. ამ გვარი მოღვაწენი ისე გამრავლდნენ ბანძას საზოგადოებაში, რომ პოლიცია იძულებული შეიქმნა, ღონე რამ ეღონა მათ წინააღმდეგ. ყველას გამოუცხადეს და სასტიკად აღუკრძალეს მკითხაობა—ექიმბაშობა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ თავიანთი არ დაიშალეს. დაიშალეს-კი არა, უფრო უარესსაც სჩადიან. გაიხედავთ, მიბძანდება ევროპიულად ჩაცმული კაცი. ვინ არისო, რომ ჰკითხოთ, ექიმიაო გიპასუხებენ და თანაც დაუმატებენ, ნასწავლია, უბრალო არავინ გეგონოთო. ნამდვილად-კი ეს ვაჟბატონები უბრალო ცრუპენტელა ექიმბაშები გახლავან. დადიან, თან ჯიბით წამლები დააქვთ და ავადმყოფებს არჩენენ; ბევრჯელ საიქიოსაც გაისტუმრებენ ხოლმე, მაგრამ რა? ესეც ხომ მორჩენაა ამ წუთის სოფლისა. როგორც გინდათ იფიქრეთ, მაგრამ რაკი ტანისამოსი ევროპიული აცვიათ, ხალხი ენდობა, შეგნებულ კაცებად მიაჩნია და რა შედეგიც უნდა მოჰყვეს ამ გარემოებას, ეს ყველასთვის ადვილი მისახვედრია. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და დროზედ მოსპოს მკითხაობა და ცრუპენტელ-ექიმბაშობა.

მკითხავ-ექიმბაშებზედ უარესად ვაჭრები აწუხებენ ბანძას საზოგადოებას. ამ ბატონებმა მოიკიდეს და მოიმკვიდრეს ფეხი „ურიაკარში“ (დაბაა) და ათას ნაირის ხრიკებითა და ოსტატობით ჰყვლეფავენ და აწუხებენ საბრალო გლეხებს. რაც-კი რამ გასასყიდი მოეპოვებათ: ან ქათამი, ან კვერცხი, და ან სხვა რამე, გლეხებმა უთუოდ „ურიაკარში“ უნდა წაიღოს და ვაჭრებს მიჰყიდონ. სასყიდლითაც იქვე უნდა მოინაცვლონ ხელი; ბევრჯელ ნისიად მოაქვთ და ამასობაში ვექსილების წერა და ბარათობაა გახშირებული, რის გამოც ყოველ წლივ მრავალი ადგილ-მამული გლეხებისა ვაჭრების საკუთრებად ხდება.

ორიოდე სიტყვა სკოლაზედაც. აგერ თორმეტი წელიწადია, რაც ბანძას საზოგადოებამ დაიარსა ერთ-კლასიანი-სასწავლებელი. აქამდე სწავლის საქმე კარგად მიდიოდა, ყმაწვილი უკან არავინ დაუბრუნებიათ, ვინც-კი მისაბარებლად მიუყვანიათ, ხოლო ამ უკანასკნელს წლებში-კი საქმე ცოტა არ იყოს გაგვიჭირდა. მრავალს ყმაწვილს დააბრუნებენ ხოლმე უკან ადგილის უქონლობისა გამო. ადგილობრივმა მღვდელმა ცალკე გახსნა სამრევლო სკოლა, რაკი დაატყო, რომ ეს ერთ-კლასიანი სასწავლებელი არა კმაროდა, მაგრამ ჩვენის აზრით ეს ცოტაოდენი უხერხული საქმეა. უკეთესი იქმნება მღვდელმა და სოფლის სკოლის მასწავლებელმა ამხანაგურად იმუშაონ და ერთი ორ-კლასიანი სკოლა იქონიონ ცალკ-ცალკე შრომის მაგიერ. ეს მით

უფრო ადვილი და მოსახერხებელია, რომ საზოგადოება დიდად თანაუგრძნობს ამ საქმეს და მზად არის, შეძლებისამებრ დახმარებაც აღმოუჩინოს, თუ-კი მოთავეობას იკისრებს ვინმე.

თეიმურაზ შიშინაძე.

---

**სოფ. ბეჟანიანი.** (თელავის მაზრა) 2 მაისი. აღარა და აღარ გვანებებს ეს ატეხილი ავდრები თავს; ადამიანი ისრე არის მომწყვდეული სახლში, რომ ენატრება თავის გამოყოფა კარში წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავად; ამ წვიმებს ზედ მოჰყვა სიცივეები; ვინ გაიგონა მაისში ბუხრების გახურება, მაგრამ ეხლა-კი გავიგონეთ კიდეც და თვალითაც ვიხილეთ.

ბედნიერმა დღეებმა კარგად ჩაიარა; ცუდი ამბავი არა მომხდარა-რა ჩვენს სოფელში. მხიარულება ბევრი იყო.

მოსავლის პირი კარგია; პურმა და ქერმა თავთავი უკვე გაიკეთა და ნაზად თავს უკრავს გამვლელს-გამომვლელსა მინდვრებში; ვენახებიც ღვთით კარგი სჩანს, თუ ბოლოს არაფერი ხიფათი ირა გამოუვარდა-რა და არ დაზარალა.

შარშანდელი ღვინოები ჯერ ისევ ხელუხლებელია ჩვენს სოფელში; არ გაჩნდნენ სირაჯები და ვერ დასძრეს ბეჟანიანის ღვინოები, რომელიც არ ჩამოუვარდება ღირსებით სხვა მხრის უკეთესს ღვინოებსა. წარსულის წლის ღვინო ჩვენის სოფლისა ისეთი დადგა, რომ ძნელად თუ ორს სამს სოფელს გარდა სხვა სოფლების ღვინო სჯობდეს მთელს კახეთში.

ქურდობა ავაზაკობამ ცოტა არ იყოს იკლო. მიზეზი ამისი ის არის, რომ დიდმარხვაში თვით მაზრის უფროსმა დაგვხედა, სოფელს დარიგება მისცა, შენიშნული კაცები დასტუქსა და დიდხან მძიმე სასჯელს დაექადა ქურდობა ავკაცობისათვის.

ამ გარემოებას შემდეგ თითქმის მეორე თვეა მიმდინარეობს და ნამსიც აღარ დაკარგულა სოფელში, მაშინ როდესაც სოფელი წინად დიდად შეწუხებული იყო ავაზაკებისაგან.

აქამდის სოფელს ბეჟანიანში სკოლა არ იყო; სოფლელები არასა დარდობდნენ: სადა გვაქვს სკოლის ხარჯის თავიო. დუქანში ხარჯვა-კი ძალიან ეხერხებოდათ და ეხერხებათ დღესაც. სკოლა ბარემ კარგია, მაგრამ თუ დაგვეხარჯება რამე, ვერ ვიკისრებთო. ახლა ისე მოხდა საქმე, რომ მზა-მზარეული, უხარჯო და უბოროჯო სკოლა გაუჩნდათ.

ამავე სოფლის ეკკლესიის მთავარმა დავით გიუნაშვილმა დიდმარხვაში გამართა სამრევლო სკოლა დიაკვნების სახლში, ეკკლესიასთან. ჩამობრძანდა ბლაღოჩინი და აკურთხა სკოლა. ამასთანავე მცირე დარიგება მისცა ბლაღოჩინმა ხალხს სკოლისთვის შემწეობის აღმოსაჩენად; ეხლა სკოლაში ორმოცამდე შეგირდი დადის და სწავლობს.

იმ გზას, რომელიც უნდა კახეთიდგან დილისტანში გადიყვანონ ბეჟანიანსა და საცხენისზედ, ეხლა მთაზედ ჰპლანავენ და ჰკაჭვენ მუშები ხეებს იმ სიგანეზედ, რა სიგანეც ფოსტის გზას უნდა ჰქონდეს; ამ გზის გაყვანა ნამდვილი და დამტკიცებული საქმეა.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ოფიციალურ დეპეშიდგანაც ვუწყით, იუსტიციის სამინისტრომ უკვე შეიმუშავა და სახელმწიფო საბჭოში წარადგინა პროექტი ახალის კანონისა ვექილების შესახებ. სხვათა შორის ისიც არის ამ პროექტში ნათქვამი, რომ კარგი იქნება კერძო ვექილობა სრულიად აკრძალულ იქმნასო. აი იმ პროექტის შესახებ რასა სწერს გაზეთი „Недѣля“:

ეხლანდელი ვექილების შესახები კანონები რომ ბევრის მხრით არის გადასასინჯი, ამას ეჭვი არა აქვს, და ამიტომ, თქმა არ უნდა, სამინისტროს ბევრს აზრს ამ საგნის შესახებ თანაგრძნობით მიეგებებიან. მაგრამ სათქმელია ისიც, რომ არაფრად სასარგებლოა კერძო ვექილების აღკრძალვა და აღკვეთა. ამ კერძო ვექილთა ინსტიტუტის გაუქმება იქნება კარგი იყოს ქალაქ ადგილებისათვის, მაგრამ დაბა-სოფლების მცხოვრებთ-კი ამას შემდეგ ძალიან გაუჭირდებათ საქმე, რომელთაც სასამართლოში აქვთ რამე საჩივარი საწარმოებელი. ბევრს ადგილას ნაფიცის ვექილის არამც თუ ჭაჭანება არ არის, არამედ კარგა ხანს არც იქნება, და სადაც არის, იქაც მომჩივანთა უმეტესობის ჯიბე კარ გასწვდება, რომ უბრალო საქმეზედ დიდ-ძალი ფული გადაიხადონ. ამ ვექილობის გაუქმებას შემდეგ ფეხს აიდგამენ სხვა-და-სხვა „აბლაკატები“ და „ბლიაძეები“, რომლებითაც ადრე ავსებით სავსე იყო მაზრის სამიკიტნოები და რომელთა რიცხვმა მხოლოდ კერძო ვექილთა გამრავლებასთან იკლო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბა-სოფლად მცხოვრებთათვის მარტო დიდ საქმეებისა და სასამართლოს საჩივრებისათვის-კი არ არის საჭირო ვექილი, ისეთის დავიდარაბისთვისაც-კი ამას მიჰმართავენ ხოლმე, რომელსაც მომრიგებელი სასამართლო და ერობის უფროსი არჩევს. თუმცა ამ დაწესებულებებში საქმის წარმოება მეტად გამარტივებულია, მაინც თითო-ოროლა წესისა და კანონის ცოდნაა საჭირო, ხოლო ამ კანონს ვინ აცოდინებს სოფლელს გლეხს, თუ არ კერძო ვექილი.

ბოლოს გაზეთი დასძენს, რომ მართალია, ეხლანდელი კანონები კერძო ვექილთა შესახებ უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ ამ ინსტიტუტის სრულიად გაუქმება-კი ხომ ის იქნება, რომ ხალხს ერთი უშესანიშნავესი უფლებათაგანი ჩამოვართვათ, უფლება თავის დაცვისა სასამართლოებშიო.

**

გაზ. „Петербургскія Вѣдомости“-ში დაბეჭდილია აზრი მიუნჰენის ერთის გაზეთისა პოლონელთა საქმეების შესახებ. აი რასა სწერს ეს მიუნჰენის გაზეთი:

პოლონეთის გუბერნიებში მთავარი ადგილი პოლონელებს უჭირავთ. წინად თავად-აზნაურობასთან, ესრედ წოდებულს „მაგნატებთანა“ და „შლიახტასთან“ შუათანა წოდება თითქმის სულ არ იყო. ეხლა ჩარტორიჟსკებისა, პონიატოვსკებისა და სხ. დიდი გვარეულობანი ცოტ-ცოტა იქვე ითვბენ, ღარიბი აზნაურობა სრულიად შეუერთდა შუათანა წოდებას და წინ წამოიწია შუათანა წოდებამა და გლეხობამ. პოლონელთ სკოლა-კი არ არის გარუსებული, რუსების სკოლაა გაპოლონებული — პოლონელთა თვით ცნობიერებამ ეხლა უფრო იმატა. პოლონელები შრომის მოყვარენი არიან, მოღვაწენი და ყოველსავე საქმეში გამბედავნი. ერთმანეთს მხარს ძალიან უჭერენ. უნივერსიტეტებსა და უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში სხვებზედ უკეთ სწავლობენ და უფრო დიდს ნაწილს იჩენენ და სახელმწიფო და კერძო სამსახურში თითქმის ყველა თანამდებობა იმათ აქვთ დაჭერილი. რუსეთის მთავრობა თუმცა ბევრს ეცადა რუსი მიწათ-მომქმედი გლეხ-კაცობა დაესახლებინა როგორმე ამ ადგილებში, მაგრამ ვერას გახდა-რაო.

**

თ. შემჩერსკი ძალიან ჰშიშობს, არ მოიწყინონ ჩემის გაზეთის მკითხველებმაო და იმის გართობლად ძველის ძველის, ადამის თემის დროინდელ ანეკდოტების ხელ-ახლად ბეჭდვასაც-კი არ ერიდება. აი ორიოდე ანეკდოტი ამ გაზეთში ახალის სახელით დაბეჭდილი:

კავკასიაშიო, სწერს თავადი რედაქტორი: მამაცს გენერალს ბ. დიდცხვირას სახელი ჰქონდა გავარდნილი.

— შეხეთ, შეხეთ, აგერ გენერალი ბ. მოდისო, მახვილობდნენ ხოლმე,

— სად არის? არავინა სჩანს?

— ჯერ არ გამოუხვევია ამ ქუჩაზედ, მაგრამ იმისი ცხვირი კი კარგა ხანია მოსჩანსო.

თვით გენერალმა იცოდა, რომ ცხვირი უხვად იყო ბუნების მიერ დაჯილდოებული და ამ თავის სიდუხჭირეს ხშირად თითონვე დასცინოდა.

ერთხელ თანაშემწედ დაუნიშნეს თავადი ტ. რომელსაც ცხვირი სწორედ ფოლაქის ოდენა ჰქონდა და თითქმის არც-კი ეტყობოდა.

ერთხელ, როცა მთიულების წინააღმდეგ ომობდნენ, ღამე გენერლის კარავში თავ. ტ., შევიდა და საჩქაროდ მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, მტერი ცხვირ წინ მოსჩანსო.

— ვის ცხვირ წინაო? ჰკითხა თურმე გენერალმა: თუ თქვენ ცხვირ წინ მოსჩანს, უნდა ავჩქარდეთ, ხოლო თუ ჩემ ცხვირ წინ, მაშინ კი დრო კიდევ დევ ბევრი გვქონია და მოვასწრობთ მათ დახვედრასაო.

ეს ანეკდოტი სულ ცოტა, სამოცის წლისა მაინც იქნება და მილიონჯერ განმეორებულია. აქ დასახელებული გენერალი ბ. გამოჩენილი გმირი თავადი ბაგრატიონია და იმაზეა ნათქვამი ეს ანეკდოტები.

---

## კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება.

ქალაქის სამკურნალოს დარბაზის კედლები და კარებ ფანჯრები ორშაბათს, 6 მაისს, მორთულ—მოკაზმული იყო თაიგულ-ყვავილებით; დარბაზის კუთხეებში ჩადგმული იყო მშვენიერი მცენარეები და ყვავილების ბუჩქები; აღმოსავლეთის მხარეს სტოლზედ დასვენებული იყო ხატი, ჯვარი და აიაზმა. საღამოს შვიდს საათზედ მთელი დარბაზი აივსო ხალხით და გაისმა საეკკლესიო გალობა. ეს იყო პარაკლისი მემკვიდრე ცესარევიჩის ხიფათისაგან გადარჩენის გამო. პარაკლისი გადაიხადეს კავკასიის ფარმაცევტთ, რომელნიც ამ დღეს დღესასწაულობდნენ წლის თავს თავის მიერ დაარსებულის „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებისას“.

პარაკლისის გადახდას შემდეგ საზოგადოება მიწვეულ იქმნა კრებაზედ, რომელ-

---

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

ორი დაუჯერებელი რამ.—ჩვენი ძალა და უძლურება.—ათი გულ-მართალი წევრი.—

მკითხველს არ უნდა დაჰვიწყებოდეს ერთი პატარა სია, რომელიც ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი. იქნება, ვიდრე დავასახელებდე, მკითხველი წინათვე მიმიხვდეს კიდეც, ისეთი რა დაუვიწყებელი სია იყო. მე მოგახსენებთ სიას, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო, რომ ამა და ამ ქართველმა ვაჭარმა დიდ-დახურულ ბაზრისამ ესა და ეს ნივთი შემოსწირა ლატარიისთვის ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებასაო“. ზოგი ამ ვაჭართაგანი სწირავდა თასაკრავს, ზოგი ბაღდადს, ზოგი რასა და ზოგი რას. ვერ ვიტყვით, რომ ფულად დიდი რამ თანხა დაიჭიროს ამ მცირე შემოწირულებამ. იქნება შეუმჩნეველიც იყოს მათი საწირავი ამ მხრივ მაგრამ შესცდება ჩვენის ქვეყნის მეთვალ-ყურე, ვინც ამისთანა შემოწირულებას გაჰსინჯავს ფულის კვალობაზე. ჩვენ უძვირფასეს განძის შემოწირულებაც გვინახავს, ალტაცებაშიაც მოვსულვართ, მაგრამ საქმე ალტაცებას არ გასცილებია, რადგან შედეგის დანახვა გასძნელებია ბევრს გამჭრიახ თვალსაც კი. მაინც საზოგადო საქმეში ფულს ყოველთვის მეორე და მესამე ხარისხის ადგილი სჭერია და ქვეყნისთვის სამსახური-კი უწევია მართალ გონიერებას, სად ჭკუას, მოსიყვარულე გულს და მხნეობას დაუშრეტელს.

ვთქვათ, მოჰხდა დაუჯერებელი ამბავი და ერთს დღეს „წერა-კითხვის საზოგადოება“ წააწყდა მილიონებს. დარწმუნებული იყავით, რომ ეს ფული თითქმის ამაოდ ჩაივლის, ან თუ არ ჩაიარა, მკვდარი, გამოუსადეგარი თანხა იქმნება, თუ-კი „საზოგადოების“ წევრთ გულზე არ ექმნებათ მოჰიდებული საქმე ქვეყნისა და თუ-კი ამის გამო მოკლებულნი იქმნებიან უნარს, რომ ეს უშრეტელი იარაღი მოიხმარონ დანიშნულებისამებრ სასიკეთოდ.

აბა ახლა წარმოიდგინოთ მეორე დაუჯერებელი ამბავი, ვითომც ერთს მშვენიერ დღეს გამოჰფხიზლებია ყოველ ასაკში-მყოფ ქართველს, მოუსვამს თავზე ხელი და უგრძვნია, რომ იგი ღვიძლი შვილია ქვეყნისა და ამიტომ აძევს ვალი მისს სამსახურისა, გაუმსჭვალავს იგი ერთხანდელს აზრს ერთობისას და ძმობისას; უცვნია მიზეზი ქვეყნის დაქვეითებისა და მტკიცედ გარდაუწყვეტია ამ მიზეზის მოსპობა მით, რომ მწარედ შეებრძოლოს საკუთარს უსწავლელობას, უმეცრებას, ერთმანეთის გაუტანლობას, —დაუნახავს, რომ ქვეყნის მოლონივრება, მისი ხსნა შეუძლიან სწავლას და მხოლოდ სწავლას, რომ სხვა ყოველივე ამაოა. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ამ გამოფხიზლების დროს ყური და თვალი მოუკრავს „წერა-კითხვის საზოგადოების“ დღევანდელ საცოდავ, უიმედო ყოფა-მდგომარეობისთვის და თანაც მიხვედრილა, რომ ამ «საზოგადოებას» საგნადა აქვს გვასწავლოს ჩვენი ავი და კარგი. როგორა ჰფიქრობთ, მკითხველო, რის მოწამენი შევიქმნებოდით ამ მშვენიერს დღეს? მაშინ, გინდაც სულ გალატაკებული ყოფილიყო ჩვენი „საზოგადოება“, ისეთი მაგარი ზურგი ექმნებოდა, რომ ქვიტკირს გაანგრევდა, დაბრკოლებას მაგრე რიგად ვეღარავინ აღმოუჩენდა მის მოქმედებას, წინ ვეღარა გადაეხარიხებოდა-რა, რკინის ლობეებიც ვეღარ უდგნობდნენ მისს მედგრობასა და წინსრბოლას, რადგან ამ შემთხვევაში ყოველი ჩვენგანი გულის ძგერით დაუწყებდა ცქერას ყოველს ნაბიჯს „საზოგადოებისას“, მის განზრახვას არ მოაკლებდა თანაგრძნობას, არ დაიშურებდა მის წარმატებისთვის თავის დახმარებას, როგორც საკუთარის საქმისთვის.

**

ჩვენი ძალა მხოლოდ მაშინ აღორძინდება, როდესაც ვაჟკაცური თავმოყვარება თავადისა და გლეხისა, ვაჭრისა და მეგუთნისა, ნასწავლისა და უსწავლელისა, ერისა და ბერისა ის იქნება, რომ საზოგადო საქმეში ყველას თავისი წვლილი მიუძღოდეს, პატარა იქნება ეს წვლილი თუ დიდი,—მიუძღოდეს, ოღონდ-კი იყოს მართალის გულით შემოტანილი, ოღონდ-კი შემომწირველი ჰგრძნობდეს, რომ იგი ამით თავის საკუთარ საქმეს აკეთებს, თავის ქვეყანას უწევს სამსახურს და მცონარა მონასავით მიწაში არა ჰმარხავს ღვთისაგან ნაბოძებ ტალანტს. აი, როცა ამ მხრივ შეჰხედავთ ზემოდასახელებულ სიას დიდ დახურულ ბაზრის ვაჭრებისას, სრულებით სხვა ფასს დასდებთ მათს ჩიქილებს, თასაკრავებს, გულისპირებს და ჩიხტა-კოპებს. ამ შემთხვევაში თითო ჩიქილა და თითო მათი მანდილი ას-ას თუმნიან ბანკის ბილეთებს ას-ასჯერა სჯობიან, ამიტომ რომ დახურულ ბაზრებიდამ თუ მივარდნილ სოფლებიდამ შემოწირულობა არ წამოვა თავის-მოსაწონებლად, საკვეხურად. ამისთანა ადგილებში, როცა საქმე შესაწირავზე მივარდება, მუშაობს მხოლოდ გული, და თუ აქ ერთხელ დაიძრა გული, უნდა დარწმუნებულნი იყვნეთ, რომ საქმე ზრდაში ჩავარდნილა, უპოვნია მას თავისი ადგილი, მიუგნია ნამდვილ პატრონისათვის, და საქვეყნო საქმის პატრონი ხომ უნდა იყოს თითონ ქვეყანავე. აი, აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი ძალა და აქ მოვიკიდოთ ფეხი.

ვიდრე ჩვენი ხალხი გულ-გრილად მოეპყრობა საქვეყნო საქმეს, მანამდე უძლურიც იქმნება არა თუ თვით ხალხი, არამედ საქვეყნო საქმეც. რაც გინდ მხნე იყოს თითო-ოროლა კაცი, რაც გინდ თვალ-საჩინო შემოწირულება დასდონ მათ საქმეს, ამ შემთხვევაში „წერა-კითხვის საზოგადოებას“, გინდაც რომ მთელი უშელებელი საცხოვრებელი გადაავლონ ამ საქმეს, თუ-კი ვერ მოიმხრობენ

ზედაც თავმჯდომარეობდა პატივცემული უხუცესი ფარმაცევტი ბ-ნი კრესლოვსკი. საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა იასტრჟემბსკიმ წაიკითხა წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. ამ ანგარიშში ეწერა, რომ სწორედ ერთი წელიწადია რაც ეს ახალი საზოგადოება არსებობს პირველად ამ საზოგადოების დაარსების აზრი დაიბადა ამ ორის წლის წინად და 1889 წლის ქრისტეშობის თვეში შეკრებილან კიდეც ქალაქის ფარმაცევტები, რომ მოესმინათ ამ დღისათვის დამზადებული პროექტი საზოგადოების წესდებისა. კრებამ წესდება მოიწონა. ვისგანაც ჯერ იყო, წესდება დამტკიცებულ იქმნა და პირველი კრება დამტკიცებულის „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებისა“ მოხდა წარსულის 1890 წლის 3 ნოემბერს; ამ დღეს არჩეულ იქმნენ მმართველობის წევრნი;

თავმჯდომარედ—სტეფ. ივ-ძე კრესლოვსკი, ამის ამხანაგად—ნიკ. სოლ-ძე უზბაშევი, წიგნთ-საცავის გამგედ ფერდ. კარლოს-ძე ოტტენი, ხაზინადრად—ალექსანდრე სერგ. ძე არისტაკოვი, და მდივნად—სერაფ. მიხ.-ძე იასტრჟემბსკი.

საზოგადოებას ჰყავს: წევრნი დამფუძნებელნი, ქალაქში მცხოვრებნი 46, ქალაქს გარეშე—14, წლის განმავლობაში ჩაეწერნენ ნამდვილ წევრებად ქალაქს გარეშედამ 2, ამორჩეულ იქმნა წევრად თანამშრომლად 1 და წევრად დამხმარებლად 1, სულ 64; გარდაიცვალა 2.

წარსულის წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია შვიდი კრება, რომელზედაც დაესწრებოდა ხოლმე 14—28 წევრამდე, ესწრებოდნენ აგრეთვე არა წევრნიც. კრებებზედ კითხულობდნენ საზოგადოების წევრთა ნაწერებს, რომელნიც უფრო ჰიგიენას შეეხება, ვიდრე ფარმაციას. ამას იმიტომ შვრებოდნენო, სწერია წლიურს ანგარიშში—რომ ხალხის კეთილ-დღეობისათვის უკეთესია ავად-მყოფობის მორიდება წინ-და-წინ თავიდგან აცილება ვიდრე მისი წამლობა. ამასთანავე სურსათ სანოვაგეს გამოკვლევასაც უპირველესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

ბ-ნ ოტტენს წაუკითხავს თავისი ნაწერი „ვლექის ბაცილები კოხისა“. მედიცინამ დაამტკიცა, რომ ჭლექი მეტად გადამდებია და ბევრს ახალგაზრდასაც იმსხვერპლავს ხოლმე იმიტომ, რომ არ იციან თვით ბუნება ამ სენისა და დროზედ არ უფრთხილდებიანო. ეს სენი ადვილად აღმოიჩინება მიკროსკოპით გასინჯვით ავადმყოფის ნახველისა—ამბობს ბ-ნი ოტტენი—და ამიტომაც ფარმაცევტი ვალდებულია ნახველიც ისე გამოიკვლიოს, როგორც აქამომდე მკურნალის მინდობილობით იკვლევს ხოლმე ავად-მყოფის შარდს და სხვ... რომელისამე სენის აღმოსაჩენად. დღემდე მხოლოდ მკურნალების ხელში იყო ბაქტერიების გამოკვლევა და შესწავლა, ეხლა ფარმაცევტნიც უნდა შეუდგნენ ამ საქმეს და თუ მათ შორის გავრცელდა ეს ჩვეულება—ბაქტერიების კვლევა-შესწავლა—ამით დიდს შემწეობას მისცემენ თვით ხალხს და მასთან თავის შრომასაც უფრო ფართო გზას გაუკვლევენო.

მეორე რეფერატი იმავ ავტორისა წაკითხული იყო შემდეგის სახელით: „რა მოვალეობა აქვს ეხლანდელს ღვინის მკვლევარს ქიმიკოსს“. ბ-ნი ოტტენი ჯერ ღვინის გავრცელების ამბავს მოგვითხრობს უძველესის დროიდამ დაწყებული და აგრეთვე იმას, თუ როგორ აკეთებდნენ და აყენებდნენ ამ სასმელს, რომელსაც უპირატესი ადგილი უჭირავს ჩვენის მხრის ეკონომიურს მდგომარეობაში და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დამატკბობელ-გამაცხოველებელს ნივთიერებასო. ღვინის გემოს გასაუმჯობესებლად ბევრნაირი საშუალება იხმარება და ხშირად ძნელიცაა, სთქვას კაცმა, სუფთა ღვინოა თუ არაო. ბ-ნმა ოტტენმა დასასრულ მოიხსენია, თუ სად როგორ საშუალებას ხმარობენ ღვინის კარგად დაყენებისათვის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა უფრო კარგად იციან. ამასთანავე ისიც აღნიშნა, თუ რა ღონის-ძიებით უნდა გაიგოს კაცმა ღვინის ავ კარგიანობა.

ორივეჯერ, რეფერატის კითხვის დროს, ბ-ნმა ოტტენმა იარაღებიც მოიტანა თავის ლაბორატორიიდამ და რასაც სიტყვით ამბობდა, იმის მაგალითებსაც აჩვენებდა.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

—როგორც „Москов. Вѣдомости“ ამბობს ობერ-პროკურორს უწმინდესის სინოდისას პობედონოსცევს სახელმწიფო საბჭოში სინოდის აზრი წარუდგენია იმის შესახებ, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს აწ არსებულს ქორწინების კანონში ამ ახალის ცვლილების ძალით დარჩება ჩამორთმეული და ციმბირში გაგზავნილთ ნება ემლევათ დაქორწინებისას. ამასთანავე იმ ქალებსაც ნება აქვთ, დაქორწინდნენ სხვაზე, რომელნიც თავიანთ ბრალდებულ ქმართ ციმბირში არ გაჰყოლიან.

— „Русская Жизнь“-ი ერთის სამარულის გაჭრის ქველ-მოქმედების ამბავს მოგვითხრობს, რომელიც საყურადღებოდ მიგვაჩნია და აქვე მოგვყავს: ამ გაჭარმა (გვარად ნოსოვაა) ბუგიულგინის მაზრაში 10,000 მანათად 1080 დღიური მიწა იყიდა, რომელიც 45 ნაკვეთად გაჰყო და თითოეულში თითო ქოხი ააშენა. გაუკეთა კარგი გზა და ამასთანავე უთვლიავე ის, რაც კი საჭირო გლეხის ოჯახისათვის, მაგალითად: ბეღელი, თავლა, საქათმე და სხვა. ამას გარდა გაუჩინა წყალი ცხენი, რამდენიმე ძროხა, რამდენიმე ცხვარი და შინაური ფრინველები მოსაშენებლად ყველა ამასთან, რასაკვირველია, არც სხვა-და-სხვა სამეურნო და საოჯახო იარაღ ხელსაწყოები დაივიწყა პატივ-ცემულმა ვაჭარმა ამ ახალ გაშენებულს სოფელს უწოდა „ალექსანდროვსკი“ და გადასცა ბუგულმინის საზოგადოებას, ამ მზამზარეულს სოფელში უფრო ღარიბი და ხელ მოკლე გლეხები დაასახლეთო.

ვინ იცისო, — დასძენს დასასრულ გაზეთი, — რამდენი იმისთანა ნოსოვი გვყავს რუსეთში, მაგრამ იმათ შესახებ არაფერი ვიცით, რადგან, ისინი როგორც ნამდვილნი ქველმოქმედნი, ისე აკეთებენ ამ გვარს საქმეს, რომ მარცხენამ არ იცის, რასა შვრება მარჯვენა ხელით,

— ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის-ძე სამსახურიდამ დაითხოვესო, ხოლო რა იყო ამის მიზეზი, ის კი აღარ ყოფილა გამოკვლეული. ახლა, როგორც „Правител. Вѣстн“-იდა მხჩანს, მისი უმაღლესობა ხელმწიფე იმპერატორის ნება დაურთველად და მშობელთა სურვილის წინააღმდეგ დაქორწინებისათვის დაუთხოვნიათ სამსახურიდამ

## წვრილი ამბები

—ამ თვის დამლევს ლონდონში დიდი, არა ჩვეულებრივი კრება გაიმართება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორ გადააკეთებინონ ქალთა ეხლანდელი ტანისამოსი. ამ კრებაში მონაწილეობის მიღებად უკვე 4,000 ინგლისელი ქალი ჩაეწერა. კრების ხელ-მძღვანელთა აზრით ქალთა აწინდელი ტანისამოსი სრულიად უხერხულია, უგემოვნოა, ჰიგიენის მხრით მავნებელია და ამას გარდა მეცხრამეტე საუკუნის მოთხოვნილებათა შეუფერებელია(!). ამის გამო კრებამ სხვა ახალი ტანისამოსი უნდა მოიგონოს, რასაკვირველია, ისეთი ტანისამოსი, რომელიც ყოველის მხრით საუკეთესო სასარგებლო იქნება. რაღა თქმა უნდა, რომ კორსეტს, სხვა და სხვა ყელსახვევს და სხვას ამ გვარს ხმარებიდამ განდევნიან. ზოგიერთმა კრებაში მონაწილეობის მიმღებელთაგანმა განაცხადა, რომ კრებაზე ჩვენ მიერ მოგონილის ახალის ტანისამოსით მოვალთ და თუ მოსაწონი იქნება გასინჯავთ, და მოიწონებთო.

— ინგლისური გაზეთები ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ და სჯიან ერთის ბანკის პატრონის ებრაელის ბარონ გირშის შესახებ, რომელიც თავის თანამემამულე ებრაელთ 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს აძლევს და ევროპ-ბა სამხრეთ ამერიკასა, აფრიკასა და ავსტრალიაში გადასახლდითო, სადაც თქვენთვის მიწა-ადგილი და სახლ-კარი მომზადებულია და ხამს მილიონს ებრაელს თავისუფლად შეუძლია დაესახლოსო. ამას გირში განსაკუთრებით რუსეთელ ებრაელთ ეუბნება, გამიდით რუსეთიდამაო. თუმცა მისი ამ ებრაელთა ახალის გამოსვლისა ძალიან შეძლებული და რამდენისამე მილიონის პატრონია, მაგრამ თუ მისმა პროექტმა გაიმარჯვა, მოსალოდნელია, რომ ამ საქმეში სხვა შეძლებული ებრაელიც ჩაერიოს, როგორც მაგალითად როტშილდი. როგორც გაზეთები ამბობენ, ბარონ გირშს, ამ ებრაელთ ახალს მოსეს, მთელი ერთი კვირა დაუყვია პარიჟში და თავისს თანამემამულეებთან მოლაპარაკება ჰქონია იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელოს თავის მიერ განზრახული საქმე. ინგლისური გაზეთები გირშის აზრს მეტის-მეტად თანაუგრძნობენ. თუმცა-კი სამართლიანს შენიშვნასაც აძლევენ, რომ უფრო საფუძვლიანი საქმე იყო ებრაელთა პალესტინაში დასახლება, როგორც ამას წინად ერთი მდიდარი ინგლისელი კაზალეტი ფიქრობდა, რომელმაც დიდს ხანს იცხოვრა რუსეთში და როცა ინგლისში გადასახლდა, ებრაელთა აღთქმულს ქვეყანაში გამოსვლის შესახებ დაიწყო ფიქრი. ამ საქმისათვის ის მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგსა სდებდა და პორტასთანაც მოლაპარაკება ჰქონდა, მაგრამ ყოველივე ეს იმისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ჩაფუშა. ამბობენ როცა ამის შესახებ ლაპარაკი და სჯა იყო ატეხილი, ერთს ინგლისელს როტშილდთაგანს ჰკითხეს თურმე: „რას იქმოდი, რომ ყველა ებრაელი პალესტინაში დაესახლოს?“ ამაზედ შემდეგი პასუხი მიუცია როტშილდს: „ვეთხოვდი, რომ ლონდონში ელჩობა მოეცათ ჩემთვისაო“-ო.

— ერთს გერმანელს შესანიშნავი საათი მოუკონია. ეს საათი იმითია თურმე შესანიშნავი, რომ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ისე გალობს, როგორც სხვა და სხვა მგა-

---

ხალხს, მის თანაგრძნობას და თანამშრომელობას, უნაყოფოდ ჩაივლის ყოველი მათი მხნეობა და მოღვაწეობა.

ჩვენი შემცდარი და ყალბი აზრიც ის არის, რომ ყოველ საქმეს ფულებითა ვზომავთ, ყველა ჩვენი იმედი ფულებზე დაგვიყუდებია, და რაკი ფული არსად მოგვეპოვება, გულ-გატეხილები ვფიქრობთ, რომ საქმეც ხრა გამოგვივარა ხელიდამაო. ძნელი ის არის, რომ თვით „საზოგადოებაც“ ფულებითა ჰზომავს საქმეს. მაგალითად, თუ წელიწადში ექვს მანეთს შეიტან მის კასსაში, ხომ წევრადაც ითვლები, გინდა სხვაფრივ ხელიც არ გაიქნიო მის საქმის წარმატებისთვის, თუ არა და წელიწადში ას ყმაწვილს რომ ასწავლო წერა-კითხვა, მთელს სოფელს რომ აუხილო თვალი და დაანახო ქვეყნის ავკარგიანობა, მაინც „საზოგადოების“ წევრად შენ არც-კი არავინ გახსენებს.

აკი ვამბობ, ჩვენ ფულის თანხა-კი არ უნდა გვყავდეს გაღმერთებული, ჩვენ უნდა ვეძებდეთ თანხას ქვეყნის სიყვარულისას, მხნეობისას, თავ-განწირულის მოღვაწეობისას, და რაკი ამას მოვიპოვებთ, მაშინ, თუ აღარ დაგიშლიათ, ფულიც იმდენი მოაწყდება თქვენს კასსას, რომ სულ „აღარ მინდა“ გაძახნინოთ: თითო ჩიქილას ყოველი ვაჭარი მოგიხვეწებთ, თითო მუჭა ხორბალს და თითო ყანწს ღვინოს ყოველი გლეხი მიაწვდის საქვეყნო საქმეს, და ეს შემოწირულობა იმოდენა ფულს დაიჭერს, რომ ერთბაშად ვერც-კი ინგარიშოთ.

განა ფულია საჭირო, რომ სოფელში მცხოვრებმა მწიგნობარმა კაცმა თუ ქალმა ანბანი ასწავლოს სოფლის ბავშვებს? განა ფულია საჭირო, რომ მცოდნე კაცმა ხელი გაუმართოს სოფელს და არ დაანაგვრინოს იგი ათასს უსამართლობას, რომელიც მასზედ ხმალ-ამოღებით არის მისული? განა ფული უნდა მისცეთ მოძღვარს, რომ მან უქადაგოს ხალხს მცნებანი ქრისტესნი ურთიერთის სიყვარულისა და ძმობისანი? არა, აქ ფულით ვერას გაჰხდებით. აქ გულია საჭირო, აქ ვაჟ-კაცური სიყვარულია საჭირო ქვეყნისა, ვაჟ-კაცური თავმოყვარეობა, და ვინც ამისთანა ვაჟკაცურს თავმოყვარეობას გამოიჩენს, იგი უკეთესი წევრი უნდა იყოს „საზოგადოებისა“.

**

ამ სიტყვებით იმას კი არ ვამბობ—ნუ გინდათ ფულები, გადაყარეთ-მეთქი, რათა, ფულიც საჭიროა და ნეტავი ამ თორმეტ მაისის ლატარიამ ერთი ათასიოდე თუმანი შეჰმატოს ჩვენს საზოგადოებას. მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ—მე ამოდენა ფულის მოგროვება ისე არ გამეხარდება, როგორც გამეხარდებოდა ის ამბავი, რომ წლევანდელ ანგარიშში ჩვენმა „საზოგადოებამ“ თამამად გვითხრას—აი, წელს შევიმატეთ ათი ისეთი წევრი, ქალი და კაცი, რომელნიც ღარიბნი არიან ფულით, მაგრამ მათის სულის სიმდიდრეს და გულის სიკეთეს ენა ვერ მოსთვლისო; ისინი, როცა-კი თავისუფალს დროს ჩაიგდებენ, შემოიკრებენ ჩვენს გლეხობას, დიდსა და პატარას, და, წინათვე მომზადებულნი, უკითხავენ საუკეთესო წიგნებს, აგონებენ, რაც მათის მსმენელთათვის გაუგებარია, უქადაგებენ საერთო მხნეობას, საერთო გარჯას, მაგალითად არიან მათთვის შესახებ საქვეყნო საქმის სამსახურისა, აწყვლიან გზასა და კვალს, რომ ეკონომიკობით და ურთიერთის გაუტანელობით არ იყვნენ დაჩაგრულნი არც ვაჭრისაგან, არც მოხელესაგან, არც ერისა და ბერისაგან. თუ ამ ანგარიშმა მოგვითხრო, რომ ხსენებულს ათს გულ-მართალ წევრს და ნამდვილ მოღვაწეს ჩვენის ქვეყნისას «საზოგადოებამ» სიამოვნებით და სიამაყით ჩასჭიდა ორივე ხელი, დაიჭირა განუწყვეტელი კავშირი, გამართა ცხარე მიწერ-მოწერა მათთან,—მოგვითხრო, რომ იგინი ყოველ გაჭირებაში მიჰმართავენ ხოლმე „საზოგადოებას“ და მუდამ მზანი არიან თავიანთ მხრივაც დაეხმარნენ უკანასკნელს ყოველ მის გაჭირებაში,—ჰო, თუ კი ეს იქნება ნაამბობი დაბეჯითებით და სიმართლით, ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ექნება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მკითხველიც გამიზიარებს ამ გრძნობას. რას მიბრძანებთ, ბატონო, რამოდენა მწიგნობარი ქალი და კაცია ჩვენს სოფლებში გაფანტული, რომელთაც არ იციან, რას მოჰკიდონ ხელი, და დღე-მუდამ ათას ნაირ ჭორების მსმენელნი და ხშირად შემთხზველნიც არიან უსაქმურობის გამო. თუ კი „საზოგადოება“ მოაგვარებს, რომ ამოდენა ხალხის უსაგნო გულში აანთოს ლამპარი ქვეყნის სიყვარულისა და სამსახურისა შეძლების გვარად, გააღვიძოს გრძნობა პატრიოტულის თავ მოყვარეობისა, რომელსაც საგრძნობლად გაუხდია ყოველ შემთხვევაში სთესოს სიკეთე, უდარაჯოს მის აღმოცენებას, დაჯეჯილებას და მერე შემოსვლას, რას მიბრძანებთ, თქვენი ჭირიმეთ, განა ამას შეედრება ქვეყნის მილიონები! მაშინ ყოველი ცოტათი მაინც ჩახვედრილი ქართველი იგრძნობს, რომ იგი საჭირო წევრია ქვეყნისა, რომ იგი ადგას ნამდვილ საქმეს სამშობლოს გაძლიერებისას და კაცად მიაჩნია მხოლოდ ის, ვინც გვერდში უდგა და მასთან ერთად პატრიოსანს ოფლს იწურავს პატრიოსანს შუბლზე ქვეყნის წვეაში. აი უმთავრესად ასეთი საგანი უნდა ჰქონდეს ჩვენს „საზოგადოებას“ და საწყაოდაც უნდა ეჭიროს ხელში ლევწლი თავ-განწირულ მაშვრალთა, გამრავლება მათის გუნდისა და არა ფულის რაოდენობა.

სანო.

ლობელი ფრინველი. მაგალითად ღამით თითქმის შეუწყვეტლად ბულბულის გალობა მოისმის. შუაღამეს შემდეგ ნიბლია დაიწყებს გალობას. შესწყდება ნიბლიის ხმა და მეგვიმრია აგალობდება. სამს საათზე მწყერი მორთავს ჭუკჭუკს, ოთხს საათზე შაშვი არაკრაკდება. გათენებისას წყალ-წყალა ჩიტი გალობს, ხოლო დასასრულ მთელის დღის განმავლობაში ბელურა ქიკ-ქიკებს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-5 არჩილ დარეჯანიშვილს, უფროსს ლვინის მკეთებელს საუფლისწულო მამულისას ნაფარეულში, რომელმაც შემოსწირა ყორალნის (საინგილოში) სამრევლო წიგნთსაცავს და ყმაწვილებისთვის დასარიგებლად შემდეგი წიგნები; თავის მიერ შედგენილი: „როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი“ 20 ცალი და „ხეხილების განმრავლება“ 15 ცალი. იმედი გვაქვს, რომ სხვებიც, მეტადრე ქალაქებში მცხოვრებნი,—არ დაიშურებენ და მოგვაწვდიან თითო-ოროლა წიგნს, უფრო ქართულს, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ მოზარდს თაობას საინგილოსას, სადაც სწავლა-განათლება მხოლოდ ეხლა იკიდებს ფეხს.

ყორალნის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
ნ. ყულოშვილი

## დეპეშა

8 მაისი

იოკაღამა. მემკვიდრე ცესარევიჩი გუშინ ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

ბელგრადი. სკუპჩინას გარდაწყვეტილებისამებრ, რომელიც უმაღლესადაც იქმნა დამტკიცებული, გუშინ დედოფალს გამოუცხადეს, ამ მხარეს უნდა განშორდეო. როდესაც დედოფლის ეტლი ქუჩაზე მიდიოდა, ხალხი ჰყვიროდა: „დედოფალს აქ ვებონო“. ხალხი შეიკრიბა და იმათ სასწავლებლიდგან უკან მომავალი ახალგაზდობაც შეუერთდა. ხალხმა მოიგერია ეტლთან მომავალი ამალა და დედოფალი უკანვე დააბრუნა. რომ უწესოება არა მომხდარიყო-რა, ჯარები მოიწვიეს, რომელსაც ხალხმა საშინელი ქვის სროლა აუტეხა. ხალხი მაშინ-ლა გაიფანტა, როცა თოფები ესროლეს. ორსავე მხარეს რამდენიმე კაცია დაჭრილი. მთავრობის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ მაქეზებლები ნაპრედნიაკები ყოფილან. დედოფალმა დღეს დილით დაანება ამ მხარეს თავი და ზემლინს გაემგზავრა,

პეტერბურგის ბირჟა 7 მაისს

| | მყიდველი ჰსა. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულ ჰსა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | $134^1/_2$ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $242^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

1 მაისის ტირაჟში პირველ სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% მომგებ ბილეთებისა ხუთას მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა | №№ ბილეთისა | №№ სერიისა | №№ ბილეთისა | №№ სერიისა | №№ ბილეთისა | №№ სერიისა | №№ ბილეთისა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10656 | 1 | 12598 | 13 | 12787 | 27 | 13459 | 37 |
| 12996 | 1 | 14762 | 13 | 2793 | 28 | 4806 | 38 |
| 1511 | 2 | 1165 | 14 | 4638 | 28 | 5670 | 38 |
| 4038 | 2 | 11655 | 14 | 10770 | 28 | 6051 | 38 |
| 5571 | 2 | 994 | 15 | 13673 | 28 | 6918 | 38 |
| 6754 | 2 | 4665 | 15 | 13717 | 28 | 13991 | 38 |
| 8411 | 2 | 5533 | 15 | 14218 | 28 | 190 | 39 |
| 12331 | 2 | 6420 | 15 | 15299 | 28 | 4818 | 39 |
| 1435 | 3 | 6949 | 15 | 15490 | 28 | 9842 | 39 |
| 9766 | 3 | 7646 | 15 | 1008 | 29 | 12121 | 39 |
| 15371 | 3 | 7895 | 15 | 10875 | 29 | 1789 | 40 |
| 1460 | 4 | 9385 | 15 | 11117 | 29 | 1960 | 40 |
| 13319 | 4 | 7391 | 16 | 12999 | 29 | 9042 | 40 |
| 4806 | 5 | 9494 | 16 | 13699 | 29 | 12700 | 40 |
| 5429 | 5 | 8427 | 17 | 14234 | 29 | 13408 | 40 |
| 7032 | 5 | 14874 | 17 | 15876 | 29 | 9975 | 41 |
| 7397 | 5 | 1599 | 18 | 5243 | 30 | 863 | 42 |
| 8402 | 5 | 4045 | 18 | 6485 | 30 | 3801 | 42 |
| 11543 | 5 | 8106 | 18 | 6713 | 30 | 4449 | 42 |
| 3185 | 6 | 9130 | 18 | 10470 | 30 | 10635 | 42 |
| 6131 | 6 | 12388 | 18 | 12443 | 30 | 11767 | 42 |
| 7477 | 6 | 13354 | 18 | 15993 | 30 | 503 | 43 |
| 10123 | 6 | 1495 | 19 | 3302 | 31 | 810 | 43 |
| 11650 | 6 | 3135 | 19 | 3531 | 31 | 861 | 43 |
| 14004 | 6 | 3640 | 19 | 3755 | 31 | 2490 | 43 |
| 15953 | 6 | 5670 | 19 | 8216 | 31 | 4888 | 43 |
| 67 | 7 | 9549 | 19 | 444 | 32 | 6011 | 43 |
| 1433 | 7 | 393 | 20 | 4508 | 32 | 7598 | 43 |
| 5685 | 7 | 1494 | 20 | 9029 | 32 | 6726 | 43 |
| 7582 | 7 | 5263 | 20 | 10791 | 32 | 8220 | 43 |
| 7649 | 7 | 6976 | 20 | 13225 | 32 | 10073 | 43 |
| 8107 | 7 | 8549 | 20 | 13387 | 32 | 11687 | 43 |
| 9401 | 7 | 11787 | 20 | 2273 | 33 | 945 | 44 |
| 10735 | 7 | 15239 | 20 | 3642 | 33 | 2025 | 44 |
| 12728 | 7 | 10796 | 21 | 12880 | 33 | 4799 | 44 |
| 13383 | 7 | 11425 | 21 | 13469 | 33 | 6482 | 44 |
| 14609 | 7 | 12343 | 21 | 599 | 34 | 7049 | 44 |
| 15607 | 7 | 1220 | 22 | 2132 | 34 | 7528 | 44 |
| 15786 | 7 | 5737 | 22 | 4050 | 34 | 8851 | 44 |
| 7134 | 8 | 5903 | 22 | 10479 | 34 | 9410 | 44 |
| 7496 | 8 | 8890 | 22 | 11824 | 34 | 12367 | 44 |
| 966 | 9 | 9621 | 22 | 12819 | 34 | 14558 | 44 |
| 2054 | 9 | 11176 | 22 | 14015 | 34 | 2242 | 45 |
| 14289 | 9 | 15221 | 22 | 696 | 35 | 2847 | 45 |
| 270 | 10 | 15903 | 22 | 1557 | 35 | 4558 | 45 |
| 2747 | 10 | 716 | 23 | 9015 | 35 | 5359 | 45 |
| 4901 | 10 | 2399 | 23 | 11040 | 35 | 7292 | 45 |
| 8842 | 10 | 6638 | 23 | 11657 | 35 | 14034 | 45 |
| 10058 | 10 | 9310 | 23 | 11784 | 35 | 14916 | 45 |
| 4188 | 11 | 15681 | 24 | 13232 | 35 | 8958 | 46 |
| 10097 | 11 | 15965 | 24 | 13249 | 35 | 3198 | 47 |
| 11057 | 11 | 2328 | 25 | 14204 | 35 | 568 | 47 |
| 12851 | 11 | 14396 | 25 | 14595 | 35 | 10747 | 47 |
| 13100 | 11 | 142 | 26 | 15492 | 35 | 13217 | 47 |
| 3969 | 12 | 280 | 36 | 15726 | 35 | 11584 | 48 |
| 5821 | 12 | 1385 | 26 | 1627 | 36 | 13877 | 48 |
| 9581 | 12 | 1489 | 26 | 8494 | 36 | 14696 | 48 |
| 13385 | 12 | 6097 | 26 | 8659 | 36 | 261 | 49 |
| 13412 | 12 | 8072 | 26 | 9123 | 36 | 6545 | 49 |
| 534 | 13 | 11798 | 26 | 12131 | 36 | 15936 | 49 |
| 8847 | 13 | 15876 | 26 | 1795 | 37 | 1684 | 50 |
| 9412 | 13 | 711 | 27 | 4959 | 37 | 3579 | 50 |
| 10419 | 13 | 1885 | 27 | 7098 | 37 | 9190 | 50 |
| 10760 | 13 | 4082 | 27 | 7892 | 37 | 11238 | 50 |
| 11736 | 13 | 11667 | 27 | 9140 | 37 | 13671 | 50 |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ-ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ. — კ. | 6 თვეით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში,

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას გეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| 3) ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე. | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის. | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| 27) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| 31) ქანნა—დარკ | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| ამძლავრი ზეცისა. | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კატონისა | 1 | „ |
| ბრძ... | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე ყდით. | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთასა. ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ზნეობითი ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატესა. ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბაინნისა ოცდა შვიდი სურათით | 10 | „ |
| Книга Калалаh и Диманаh или сборникъ Басенъ известныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна | 3 | „ |
| Матэріалы для русской исторіи, С. Ал. Белокурова | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Белокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |

Доз. Цен. Тифлисъ, 8-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.